თბილისის "დინამოს" გამარჯვება ბოლივიაში

როგორც ვიტყობინებოდით, თბილისის "დინამოს" ფეხბურთელთა გუნდი საერთაშორისო ამხანაგური მატჩების ჩასატარებლად იმყოფება სამხრეთ ამერიკაში. კუბაში 3 გამარჯვების შემდეგ ქართველი ფეხბურთელები გაემგზავრნენ ბოლივიაში, სადაც პირველი შეხვედრა ჰქონდათ ამ ქვეყნის ერთ-ერთ უძლიერეს გუნდთან "სტრონდჟეტისთან". ანგარიში გახსნეს სტუმრებმა. შესვენების შემდეგ მოწინააღმდეგეებმა ერთმანეთის კარში გაიტანეს თითო ბურთი და მატჩი მოიგო თბილისის "დინამომ" – 2:1.

თბილისის "დინამო" მორიგ შეხვედრას ჩაატარებს ხვალ, ბოლივიის კიდევ ერთ უძლიერეს გუნდთან, ამის შემდეგ ქართველი ფეხბურთელები გაემგზავრებიან ეკვადორს, შემდეგ ისინი რამდენიმე შეხვედრას ჩაატარებენ მექსიკის უძლიერეს გუნდებთან.

28 ნოემბერი, 1961 წ.